დამტკიცებულია
სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2012 წლის 4 დეკემბრის
821 დადგენილებით

მოდიფიცირებულია
სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2022 წლის 4 აგვისტოს
№01-05-04/110 დადგენილებით

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

ევროპისმცოდნეობა
European Studies

ფაკულტეტი

საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა
Engineering Economics, Media Technologies and Social Sciences

პროგრამის ხელმძღვანელი

ასოცირებული პროფესორი ხათუნა ჩაფიჩაძე

მისანიჭებელი კვალიფიკაცია და პროგრამის მოცულობა კრედიტებით

ევროპისმცოდნეობის ბაკალავრი **Bachelor of European Studies** *მიენიჭება პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო კურსების 228 კრედიტის და თავისუფალი კომპონენტების სახით 12 კრედიტის ათვისების შემდეგ, არანაკლებ 240 კრედიტის შესრულების შემთხვევაში.* *შუალედური კვალიფიკაცია ევროპისმცოდნეობაში არ მიენიჭება.* *(Intermediary Qualification in European Studies)*

სწავლების ენა

ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროგრამის აღწერა

ევროპისმცოდნეობის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს. 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის

საათები. პროგრამის ხანგრძლივობაა 8 სემესტრი (4 სასწავლო წელი). (წელიწადში გათვალისწინებულია 60 კრედიტი, სემესტრში – 30 კრედიტი).
სასწავლო წლის ხანგრძლივობაა 2 სემესტრი. სტუდენტი ორი სემეტრის განმავლობაში შეისწავლის 12 ან 13 (VII და VIII სემესტრში) სასწავლო კურსს. პროგრამაში 228 კრედიტი არის ძირითადი სასწავლო კურსი, 12 კრედიტი - თავისუფალი კომპონენტები. თითოეულ სემესტრში შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულაა 60. მიმდინარე აქტივობის მაქსიმალური შეფასებაა 30 ქულა, მინიმალური - 15 ქულა. შუასემესტრული გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა - 30 ქულა, მინიმალური - 7,5 ქულა, დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა - 40 ქულა, მინიმალური კი - 10 ქულა. სემესტრის მანძილზე სტუდენტი აბარებს ერთ შუასემესტრულ და ერთ დასკვნით გამოცდას. დამატებით გამოცდაზე სტუდენტი გადის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან ფინალურ გამოცდაზე გასვლის შემდეგ ჯამში დააგროვა 41-დან 50 ქულის ჩათვლით.
სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვის შესაბამისად, კრედიტების რაოდენობა ერთ წელიწადში შეიძლება 60 კრედიტზე ნაკლები ან მეტი იყოს, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა.
პროგრამა შედგება ძირითადი სასწავლო კურსების, მათ შორის - უცხოური ენის, პრაქტიკის, საბაკალავრო ნაშრომის, არჩევითი სასწავლო კურსებისა და თავისუფალი კომპონენტებისაგან. სასწავლო კურსები ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირშია. თითოეულის შესწავლა შესაძლოა პროგრამის სხვა სასწავლო კურს(ებ)ის შესწავლის წინაპირობა იყოს.

ევროპისმცოდნეობის ბაკალავრიატის პროგრამის ელემენტები (240 ECTS):

1. ძირითადი სასწავლო კურსები - **228 კრედიტი**
   - უცხოური ენა – 32 კრედიტი (შედის ძირითად სასწავლო კურსებში)
   - პრაქტიკა – 6 კრედიტი (შედის ძირითად სასწავლო კურსებში)
   - საბაკალავრო ნაშრომი – 6 კრედიტი (შედის ძირითად სასწავლო კურსებში)
   - არჩევითი სასწავლო კურსები - 20 კრედიტი
2. თავისუფალი კომპონენტები – **12 კრედიტი**

ძირითადი სასწავლო კურსები (228 ECTS)

საგანმანათლებლო პროგრამაში არასპეციალობის ძირითადი კურსები შეადგენს - 51 კრედიტს.
სპეციალობის ძირითადი სასწავლო კურსები (119 ECTS) მოიცავს ისეთ დისციპლინებს, როგორებიცაა პოლიტიკის მეცნიერების შესავალი, შესავალი რეგიონმცოდნეობაში, შესავალი ევროპისმცოდნეობაში, ევროპის ისტორია, ევროპული პოლიტიკური აზროვნების ისტორია, ევროკავშირის პოლიტიკური ინსტიტუტები და მმართველობის ფორმები, ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა, ევროპის უახლესი ისტორია, ევროინტეგრაცია და ახალი მსოფლიო წესრიგი, საქართველოს ევროპული იდენტობა, გლობალიზაცია–ცივილიზაციის პარადიგმები, ევროპული ცივილიზაცია, რელიგია და პოლიტიკური პროცესები ევროპაში, ევროპის ინდივიდუალურობა: კულტურა და იდეოლოგია, ევროპული პოლიტიკური იდეოლოგიები, ევროპული დემოკრატია: ევოლუცია და მოდელები, ევროპის სოციალური პოლიტიკის საფუძვლები, საქართველო და ევროინტეგრაცია, ევროპის ქვეყნების შედარებითი პოლიტიკა, გლობალიზაცია და რეგიონალიზმი, ევროპის საარჩევნო სისტემები და ტექნოლოგიები, ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა და შავი ზღვის აუზის ქვეყნების უსაფრთხოება და ევროკავშირი.

- **უცხოური ენა (32 ECTS) (შედის ძირითად სასწავლო კურსებში)**

უცხოური (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენის შესწავლა სავალდებულოა არანაკლებ 22 კრედიტის მოცულობით.

- **პრაქტიკა (6 ECTS) (შედის ძირითად სასწავლო კურსებში)**

ევროპისმცოდნეობის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა სავალდებულო კომპონენტის სახით 6 კრედიტის ფარგლებში ითვალისწინებს პრაქტიკას.

- **საბაკალავრო ნაშრომი (6 ECTS) (შედის ძირითად სასწავლო კურსებში)**

ევროპისმცოდნეობის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა სავალდებულო კომპონენტის სახით 6 კრედიტის ფარგლებში ითვალისწინებს საბაკალავრო ნაშრომს.

- **არჩევითი სასწავლო კურსები (20 ECTS)**

სტუდენტისათვის თავისუფალი არჩევანის საფუძველზე არასპეციალობის (არაევროპისმცოდნეობის) დისციპლინებში დასაშვებია 20 ECTS დაგროვება.

არასპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები მოიცავს: გამოყენებითი ფსიქოლოგია, კულტურა და თანამედროვეობა, მოლაპარაკების ხელოვნება, შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში, თანამედროვე ევროპის მედია და თანამედროვე სამყაროს კულტურები და ორგანიზაციები.
სპეციალობის არჩევითი საგნებია:

- ნატო – უსაფრთხოების რეგიონალური ორგანიზაცია;

- ტერორიზმის გეოპოლიტიკა;
- ქართული ემიგრაცია ევროპაში;
- ევროკავშირის საშინაო პოლიტიკა;
- ევროპული კონფლიქტები;
- საქართველოს საგარეო პოლიტიკის ევროპული ორიენტირები.

თავისუფალი კომპონენტები (12 ECTS)

საგანმანათლებლო პროგრამა ასევე მოიცავს თავისუფალ კომპონენტებს – ოთხ სამ კრედიტიან სასწავლო კურსს. აღნიშნულ მოდულში გათვალისწინებულია ზოგადი და სპეციალობისგან სრულიად განსხვავებული საგნების შესწავლა, რომელთა არჩევა სტუდენტს თავისუფლად შეუძლია სწავლების დამასრულებელ – VIII სემესტრში.

პროგრამის მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს: ცოდნა ევროპის წამყვანი ქვეყნების ისტორიის, იდეების, კულტურის, ეკონომიკის, სამართლის, ინსტუტუციური, მმართველობის სისტემის, სოციალური პროცესებისა და სხვა სფეროების შესახებ მსოფლიო-ისტორიული პროცესების კონტექსტში.

- ფართო თეორიული ცოდნა ევროპის ქვეყნების ინტეგრაციის იდეებზე, კონცეფციებზე, პროცესებზე, რეგიონულ და ადგილობრივ მიდგომებზე;
- კომპლექსური ცოდნა და სპეციალური მომზადება ევროპის წამყვანი ქვეყნების საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე, სამართლებრივ სისტემებსა და პროცედურებზე, მათი თეორიული საფუძვლების განვითარებაზე, ეროვნული და ურთიერთანამშრომლობის პოლიტიკაზე, ევროკავშირის განვითარებისა და ინტეგრაციის კომპლექსურ პროცესებზე, ევროპული იდენტობისა და ევროპული მოქალაქეობის მნიშვნელობაზე, ინსტიტუციებისა და გადაწყვეტილებების შემუშავების პოლიტიკაზე, პოლიტიკური კულტურის თავისებურებებზე, პოლიტიკური პროცესის სპეციფიკაზე.

ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშაოს:

- ევროპის ქვეყნებში მიმდინარე სხვადასხვა ახალი პროცესებისადმი ყურადღების მიდევნების, რელევანტურობის აღქმისა და ცოდნის მუდმივი განახლებისა და სწავლის უნარი.

- ევროკავშირის ინსტიტუციური პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის, პრობლემების შეფასების, ანალიზის, მსჯელობის, დასაბუთების, ამოცანების გადაწყვეტისათვის აუცილებელი უნარები;
- პროფესიული ეთიკისა და ევროპული ინტეგრაციის ღირებულებების დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი;
- ევროინტეგრაციის სფეროში პრაქტიკული საქმიანობისას სამართლიანობის, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების დაცვის კულტურა.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და დარგობრივი)

ცოდნა და გაცნობიერება:

ევროპული ინტეგრაციის სფეროს მრავალმხრივი და სპეციალიზებული თეორიული ცოდნა, რომელიც საფუძვლად უდევს ევროკავშირის ქვეყნების ისტორიის, ფასეულობების, პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების, ეკონომიკის, სამართლის, წამყვანი ინსტიტუტების მუშაობის სპეციფიკის, მმართველობის, გლობალიზაციის პირობებში ევროკავშირის განვითარების ტენდენციების აუცილებელი უნარების გამომუშავებას და შესაბამისად პროფესიული საქმიანობის საზღვრების გაცნობიერებას;
ევროპისმცოდნეობის სფეროს ფართო თეორიული ცოდნა;
ევროკავშირის ცნებების, სტრუქტურის, ელემენტებისა და ტერმინოლოგიის ცოდნა;
ევროპის ქვეყნების პოლიტიკური სისტემების, კონსტიტუციური წყობის, პოლიტიკური რეჟიმების

ხასიათის, ხელისუფლების ყველა შტოს ფუნქციონირების, ცენტრისა და რეგიონის აგებულების კომპლექსური ცოდნა;
ევროპის წამყვანი ქვეყნების საშინაო და საგარეო, ეროვნული უსაფრთხოების პრობლემების ანალიზის მეთოდების ცოდნა;
მსოფლიო პოლიტიკასა და კულტურაში ევროპის წამყვანი ქვეყნების ადგილისა და როლის გაცნობიერება;
ევროპის წამყვანი ქვეყნების ეროვნული ინტერესების, პრიორიტეტების, დოქტრინების, საგარეო პოლიტიკის მექანიზმების, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საშინაო ფაქტორებთან მათი ურთიერთკავშირის ცოდნა;
სოციალურად მნიშვნელოვანი პრობლემებისა და პროცესების დადგენის უნარი.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

მრავალმხრივი და სპეციალიზებული თეორიული ცოდნის საფუძველზე შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება ევროპისმცოდნეობის სფეროში აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად;
თანამედროვე გლობალიზაციისა და რეგიონალიზაციის საფუძველზე ევროკავშირის პოლიტიკის კრიტიკულად აღქმა და გააზრება;
საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების სფეროში ევროკავშირთან ურთიერთთანამშრომლობის პოლიტიკის ადგილობრივ ჩარჩოში ინტერპრეტირება.
ევროკავშირის ქვეყნების კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებული დოკუმენტების კომენტირება და ანოტირება;
ევროპული მოვლენების, ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი განვითარების პროცესების დადგენის უნარი;
ევროინტეგრაციის იდეებისა და კონცეფციების განვითარებაში მონაწილეობის მიღება;
ევროპული ინტეგრაციის თეორიისა და პრაქტიკის საფუძველზე ევროპული ფასეულობების საქართველოს რეალობასთან მისადაგებისა და დანერგვის უნარი.

დასკვნის უნარი:
მკაფიოდ გამოკვეთილი პრობლემების ამოცნობა, სიტუაციათა შედარება, სტანდარტული მეთოდებით მათი გაანალიზება და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;
ევროპის წამყვანი ქვეყნების განვითარებისა და ინტეგრაციის პროცესებზე ახალი ინფორმაციის მოძიებისა და დამუშავების უნარი;
სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით ევროკავშირის ინსტიტუტების გადაწყვეტილებების მიღების პოლიტიკაზე დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი.

კომუნიკაციის უნარი:
საკუთარი აზრისა და მიღებული ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემის უნარი სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის;
ყველა დაკავშირებულ სფეროში მიზნების მისაღწევად საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარი;
დარგობრივი სფეროს შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით ლაკონურად და გასაგებად წერის უნარი;
პრეზენტაციებისა ან წერილობითი ინფორმაციის მომზადების უნარი;
სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ინფორმაციის ზეპირი და წერილობითი ჩამოყალიბების და კომუნიკაციის უნარი.

სწავლის უნარი:
სწავლის მიმართულების განსაზღვრა შექმნილი გარემოსა და პრიორიტეტების გათვალისწინებით;
ცოდნისა და გამოცდილების გამდიდრების მიზნით საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, ცოდნის განახლების საჭიროების თვითშეფასება და განათლების მეორე საფეხურზე (მაგისტრატურა) სწავლის გაგრძელების საჭიროების დადგენა;
ევროპისმცოდნეობის სფეროში ცოდნისა და გამოცდილების გამდიდრების მიზნით თანამედროვე მასალების მოძიება, შეფასება და სხვებისთვის გაზიარება;
საინფორმაციო და საგნმანათლებლო ტექნოლოგიების საფუძველზე თვითსწავლის განვითარების

უნარი.

ღირებულებები:
ევროპისმცოდნეობის სფეროს პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების ცოდნა, შეფასება და სხვებისათვის გაზიარება;
საჯაროდ და საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამოქალაქო და საზოგადოებრივი ეთიკური ნორმების, პრინციპებისა და ფასეულობების გააზრება, აღიარება, დაცვა და პატივისცემა;
ღირებულებების, ზნეობრივი ნორმების და საერთოევროპული ფასეულობების ფორმირების პროცესში მონაწილეობის მიღებისა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი.

სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდები

☒ ლექცია ☒ სემინარი (ჯგუფში მუშაობა) ☒ პრაქტიკული ☒ ლაბორატორიული ☒ პრაქტიკა ☒ საკურსო სამუშაო/პროექტი ☒ საბაკალავრო ნაშრომი ☒ კონსულტაცია ☒ დამოუკიდებელი მუშაობა

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდების ქვემოთ მოცემული შესაბამისი აქტივობები, რომელიც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში):

1. **დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიული სწავლების აქტივობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

2. **ჯგუფური (collaborative) მუშაობა** – ამ აქტივობის გამოყენებით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

3. **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - აქტივობა, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს კონკრეტულ პრობლემას.

4. **შემთხვევების შესწავლა (Case study)** – პედაგოგი სტუდენტებთან ერთად განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს და ისინი ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. მაგალითად, საინჟინრო უსაფრთხოების სფეროში ეს შეიძლება იყოს კონკრეტული ავარიის ან კატასტროფის განხილვა, პოლიტიკის მეცნიერებაში - კონკრეტული, მაგალითად, ყარაბახის პრობლემის (სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის) ანალიზი და ა. შ.

5. **გონებრივი იერიში (Brain storming)** – ეს აქტივობა გულისხმობს თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული აქტივობა განაპირობებს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. მისი გამოყენება ეფექტიანია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:
– პრობლემის/საკითხის განსაზღვრა შემოქმედებითი კუთხით;
– დროის გარკვეულ მონაკვეთში საკითხის ირგვლივ მსმენელთა მიერ გამოთქმული– იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე);
– შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად;
– შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ გასაზღვრული კრიტერიუმებით;
– გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება დასმულ საკითხს;
– უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის– საუკეთესო

საშუალების გამოვლენა.

6. **როლური და სიტუაციური თამაშები** – წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით განხორციელებული თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედონ საკითხს. იგი ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე, როგორც დისკუსია, ეს თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

7. **დემონსტრირების მეთოდი** – აქტივობის ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მოვაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს.

8. **ინდუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

9. **დედუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

10. **ანალიზის მეთოდი** გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

11. **სინთეზის მეთოდი** გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

12. **ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი**. ამ მეთოდს მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ.

13. **წერითი მუშაობის მეთოდი**, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და სხვ.

14. **ახსნა-განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პედაგოგს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

15. **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პედაგოგისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

16. **პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია** - პროექტზე მუშაობისას სტუდენტი რეალური პრობლემის გადასაჭრელად იყენებს შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. პროექტით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებლად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად, კორექტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად,

წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ფარგლებში ან რამდენიმე საგნის ფარგლებში (საგანთა ინტეგრაცია); დასრულების შემდეგ პროექტი შესაძლებელია წარედგინოს ფართო აუდიტორიას.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- **(A)** - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- **(B)** - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- **(C)** - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- **(D)** - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- **(E)** - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- **(FX)** - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- **(F)** - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დასაქმების სფერო

ევროპისმცოდნეობის ბაკალავრი შეიძლება დასაქმდეს სახელმწიფო ან კერძო დაწესებულებაში, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებულია საქართველოს ევროპული სტრუქტურების ინტეგრაციასთან; ევროკავშირთან და ევროპულ ქვეყნებთან დაკავშირებული საქმიანობის ფართო სპექტრთან; ევროპული ქვეყნების საგარეო პოლიტიკასა და დიპლომატიასთან; საერთაშორისო მთავრობათშორის და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლის გაგრძელება მაგისტრატურის პროგრამაზე.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით.
საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, ასევე სათანადო კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები. ადამიანური რესურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თანდართულ დოკუმენტაციაში (CV).
საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ტექნიკით და ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიებით, საპროფესოროებით, ბიბლიოთეკით და მასში განთავსებული წიგნადი და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფონდით, კომპიუტერული კლასით, კომპიუტერული პროგრამებით, უწყვეტი ინტერნეტით.

თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 46

პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი			
			I წელი	II წელი	III წელი	IV წელი
			სემესტრი			

			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
1	**უცხოური ენა არჩევით (ერთ-ერთი ენა)**									
1.1	უცხოური ენა (ინგლისური) –B 1.1	არ აქვს	6							
1.2	უცხოური ენა (გერმანული) - B 1.1	არ აქვს								
1.3	უცხოური ენა (ფრანგული) – B1.1	არ აქვს								
1.4	უცხოური ენა (რუსული) – B1.1	არ აქვს								
2	გამოყენებითი ინფორმატიკის საფუძვლები 1	არ აქვს	4							
3	წერითი და ზეპირი კომუნიკაციები	არ აქვს	5							
4	საქართველოს ისტორია და კულტურა	არ აქვს	5							
5	პოლიტიკის მეცნიერების შესავალი	არ აქვს	5							
6	შესავალი რეგიონმცოდნეობაში	არ აქვს	5							
7	შესავალი ევროპისმცოდნეობაში	არ აქვს		5						
8	**უცხოური ენა არჩევით (ერთ-ერთი ენა)**									
8.1	უცხოური ენა (ინგლისური) –B1.2	უცხოური ენა (ინგლ.) – B 1.1		6						
8.2	უცხოური ენა (გერმანული) - B1.2	უცხოური ენა (გერმ.) - B 1.1								
8.3	უცხოური ენა (ფრანგული) – B1.2	უცხოური ენა (ფრანგ.) – B1.1								
8.4	უცხოური ენა (რუსული) – B1.2	უცხოური ენა (რუს.) - B 1.1								
9	გამოყენებითი ინფორმატიკის საფუძვლები 2	გამოყენებითი ინფორმატიკის საფუძვლები 1		4						
10	ევროპის ისტორია	არ აქვს		5						
11	ევროპული პოლიტიკური აზროვნების ისტორია	პოლიტიკის მეცნიერების შესავალი		5						
12	ევროკავშირის პოლიტიკური ინსტიტუტები და მმართველობის ფორმები	პოლიტიკის მეცნიერების შესავალი		5						
13	ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა	არ აქვს			5					
14	**უცხოური ენა არჩევით (ერთ-ერთი ენა)**									
14.1	უცხოური ენა (ინგლისური) – B2.1	უცხოური ენა (ინგლ.) – B 1.2			5					

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი							
			I წელი		II წელი		III წელი		IV წელი	
			სემესტრი							
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
14.2	უცხოური ენა (გერმანული) – B2.1	უცხოური ენა (გერმ.) - B 1.2								
14.3	უცხოური ენა (ფრანგული) – B2.1	უცხოური ენა (ფრანგ.) – B1.2								
14.4	უცხოური ენა (რუსული) - B2.1	უცხოური ენა (რუს.) - B 1.2								
15	ევროპის უახლესი ისტორია	ევროპის ისტორია			5					
16	შესავალი საერთაშორისო საჯარო სამართალში	არ აქვს			6					
17	ევროინტეგრაცია და ახალი მსოფლიო წესრიგი	არ აქვს			4					
18	**უცხოური ენა არჩევით (ერთ-ერთი ენა)**									
18.1	უცხოური ენა (ინგლისური) – B2.2	უცხოური ენა (ინგლ.) – B 2.1								
18.2	უცხოური ენა (გერმანული) – B2.2	უცხოური ენა (გერმ.) - B 2.1				5				
18.3	უცხოური ენა (ფრანგული) – B2.2	უცხოური ენა (ფრანგ.) – B2.1								
18.4	უცხოური ენა (რუსული) - B2.2	უცხოური ენა (რუს.) - B 2.1								
19	საქართველოს ევროპული იდენტობა	არ აქვს				5				
20	გლობალიზაცია-ცივილიზაციის პარადიგმები	არ აქვს				4				
21	ევროკავშირის სამართლის საფუძვლები	შესავალი საერთაშორისო საჯარო სამართალში				6				
22	ეკონომიკის საფუძვლები	არ აქვს				5				
23	ევროპული ცივილიზაცია	ევროპის უახლესი ისტორია					5			
24	**უცხოური ენა არჩევით (ერთ-ერთი ენა)**									
24.1	უცხოური ენა (ინგლისური) – B2 + 1	უცხოური ენა (ინგლისური								

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი							
			I წელი		II წელი		III წელი		IV წელი	
			სემესტრი							
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
		) – B2.2					5			
24.2	უცხოური ენა (გერმანული) - B2 + 1	უცხოური ენა (გერმანული) - B2.2								
24.3	უცხოური ენა (ფრანგული) -B2 + 1	უცხოური ენა (ფრანგული) - B2.2								
24.4	უცხოური ენა (რუსული) - B2 + 1	უცხოური ენა (რუსული) - B2.2								
25	რელიგია და პოლიტიკური პროცესები ევროპაში	ევროპული პოლიტიკური აზროვნების ისტორია					5			
26	თანამედროვე დიპლომატია	არ აქვს					5			
27	ევროპის ინდივიდუალურობა: კულტურა და იდეოლოგია	ევროპის უახლესი ისტორია					5			
28	ევროპული პოლიტიკური იდეოლოგიები	ევროპული პოლიტიკური აზროვნების ისტორია						5		
29	ადამიანის უფლებები და მათი დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმები	შესავალი საერთაშორისო საჯარო სამართალში						6		
30	ევროპული დემოკრატია: ევოლუცია და მოდელები	არ აქვს						5		
31	ევროპის სოციალური პოლიტიკის საფუძვლები	არ აქვს						4		
32	**უცხოური ენა არჩევით (ერთ-ერთი ენა)**									
32.1	უცხოური ენა (ინგლისური) – B2+ 2	უცხოური ენა (ინგლისური) - B2+ 1								
32.2	უცხოური ენა (გერმანული) - B2+ 2	უცხოური ენა (გერმანული) - B2 + 1						5		
32.3	უცხოური ენა (ფრანგული) - B2+ 2	უცხოური ენა								

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი							
			I წელი		II წელი		III წელი		IV წელი	
			სემესტრი							
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
		(ფრანგული) 32.4- B2 + 1								
32.4	უცხოური ენა (რუსული) - B2+ 2	უცხოური ენა (რუსული) - B2 + 1								
33	**არჩევითი სასწავლო კურსები**									
33.1	გამოყენებითი ფსიქოლოგია	არ აქვს			5					
33.2	სოციოლოგია									
33.3	კულტურა და თანამედროვეობა									
34.4	მოლაპარაკების ხელოვნება	არ აქვს				5				
34.5	ნატო - უსაფრთხოების რეგიონული ორგანიზაცია									
34.6	ტერორიზმის გეოპოლიტიკა									
35.1	ქართული ემიგრაცია ევროპაში	არ აქვს					5			
35.2	ევროკავშირის საშინაო პოლიტიკა									
35.3	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში									
36.1	ევროპული კონფლიქტები	არ აქვს						5		
36.2	თანამედროვე ევროპის მედია									
36.3	თანამედროვე სამყაროს კულტურები და ორგანიზაციები									
36.4	საქართველოს საგარეო პოლიტიკის ევროპული ორიენტირები									
37	საქართველო და ევროინტეგრაცია	ევროინტეგრაცია და ახალი მსოფლიო წესრიგი							5	
38	ევროპის ქვეყნების შედარებითი პოლიტიკა	პოლიტიკის მეცნიერების შესავალი							5	
39	გლობალიზაცია და რეგიონალიზმი	გლობალიზაცია-ცივილიზაციის პარადიგმები							5	
40	ევროპის საარჩევნო სისტემები და ტექნოლოგიები	არ აქვს							5	
41	ევროკავშირის ეკონომიკური პოლიტიკა	ეკონომიკის საფუძვლები							5	
42	ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა	ევროკავშირის საგარეო							5	

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი							
			I წელი		II წელი		III წელი		IV წელი	
			სემესტრი							
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
		პოლიტიკა								
43	შავი ზღვის აუზის ქვეყნების უსაფრთხოება და ევროკავშირი	ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა								6
44	პრაქტიკა	არ აქვს								6
45	**თავისუფალი კომპონენტები**									12
45.1	დედამიწის ისტორია	არ აქვს								3
45.2	ერგონომიკის საფუძვლები									
45.3	არქიტექტურული დისკურსი და დიზაინი									
45.4	საინჟინრო-ეკონომიკური ფსიქოლოგია									
45.5	შესავალი ეკონომიკაში									
45.6	შრომის ეკონომიკა									
45.7	ეთიკური ეკონომიკა									
45.8	შესავალი ხელოვნების ისტორიაში									
45.9	ტექსტილი და აქსესუარები არქიტექტურულ დიზაინში									
45.10	ქართული საბრძოლო ხელოვნება - ისტორია და ეთნოკულტურული ტექნოლოგიები									
46	საბაკალავრო ნაშრომი	შესავალი რეგიონმცოდნეობაში შესავალი ევროპისმცოდნეობაში								6
		სემესტრში	**30**	**30**	**30**	**30**	**30**	**30**	**30**	**30**
		წელიწადში	**60**		**60**		**60**		**60**	
		სულ	**240**							

სწავლის შედეგების რუკა

№	საგანი	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1.1	უცხოური ენა (ინგლისური) –B 1.1	X	X		X	X	
1.2	უცხოური ენა (გერმანული) - B 1.1	X	X		X	X	
1.3	უცხოური ენა (ფრანგული) – B1.1	X	X		X	X	
1.4	უცხოური ენა (რუსული) – B1.1	X	X		X	X	
2	გამოყენებითი ინფორმატიკის საფუძვლები 1	X	X	X		X	X
3	წერითი და ზეპირი კომუნიკაციები	X	X	X	X		
4	საქართველოს ისტორია და კულტურა	X	X	X	X	X	X
5	პოლიტიკის მეცნიერების შესავალი	X	X	X	X	X	X
6	შესავალი რეგიონმცოდნეობაში	X	X	X	X	X	X
7	შესავალი ევროპისმცოდნეობაში	X	X	X	X	X	X
8.1	უცხოური ენა (ინგლისური) –B1.2	X	X		X	X	
8.2	უცხოური ენა (გერმანული) - B1.2	X	X		X	X	
8.3	უცხოური ენა (ფრანგული) – B1.2	X	X		X	X	
8.4	უცხოური ენა (რუსული) – B1.2	X	X		X	X	
9	გამოყენებითი ინფორმატიკის საფუძვლები 2	X	X	X		X	X
10	ევროპის ისტორია	X	X	X			
11	ევროპული პოლიტიკური აზროვნების ისტორია	X	X	X	X	X	X
12	ევროკავშირის პოლიტიკური ინსტიტუტები და მმართველობის ფორმები	X	X	X			X
13	ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა	X	X	X	X	X	
14.1	უცხოური ენა (ინგლისური) – B2.1	X	X		X	X	
14.2	უცხოური ენა (გერმანული) – B2.1	X	X		X	X	
14.3	უცხოური ენა (ფრანგული) – B2.1	X	X		X	X	
14.4	უცხოური ენა (რუსული) - B2.1	X	X		X	X	
15	ევროპის უახლესი ისტორია	X	X	X			X
16	შესავალი საერთაშორისო საჯარო სამართალში	X	X	X	X	X	X
17	ევროინტეგრაცია და ახალი მსოფლიო წესრიგი	X	X	X	X		X
18.1	უცხოური ენა (ინგლისური) –B 2.2	X	X		X	X	
18.2	უცხოური ენა (გერმანული) - B 2.2	X	X		X	X	
18.3	უცხოური ენა (ფრანგული) – B2.2	X	X		X	X	
18.4	უცხოური ენა (რუსული) - B 2.2	X	X		X	X	
19	საქართველოს ევროპული იდენტობა	X	X	X	X	X	X
20	გლობალიზაცია-ცივილიზაციის პარადიგმები	X	X	X	X	X	X
21	ევროკავშირის სამართლის საფუძვლები	X	X	X	X	X	
22	ეკონომიკის საფუძვლები	X	X	X	X	X	
23	ევროპული ცივილიზაცია	X	X	X	X	X	X

24.1	უცხოური ენა (ინგლისური) – B2 + 1	X	X	X	X	X	
24.2	უცხოური ენა (გერმანული) - B2 + 1	X	X	X	X	X	
24.3	უცხოური ენა (ფრანგული) -B2 + 1	X	X	X	X	X	
24.4	უცხოური ენა (რუსული) - B2 + 1	X	X	X	X	X	
25	რელიგია და პოლიტიკური პროცესები ევროპაში	X	X	X	X	X	X
26	თანამედროვე დიპლომატია	X	X	X	X	X	
27	ევროპის ინდივიდუალურობა: კულტურა და იდეოლოგია	X	X	X	X	X	X
28	ევროპული პოლიტიკური იდეოლოგიები	X	X	X	X	X	X
29	ადამიანის უფლებები და მათი დაცვის საერთაშორისოსამართლებრივი მექანიზმები	X	X	X	X	X	X
30	ევროპული დემოკრატია: ევოლუცია და მოდელები	X	X	X	X	X	X
31	ევროპის სოციალური პოლიტიკის საფუძვლები	X	X	X	X	X	X
32.1	უცხოური ენა (ინგლისური) – B2+ 2	X	X	X	X	X	
32.2	უცხოური ენა (გერმანული) - B2+ 2	X	X	X	X	X	
32.3	უცხოური ენა (ფრანგული) - B2+ 2	X	X	X	X	X	
32.4	უცხოური ენა (რუსული) - B2+ 2	X	X	X	X	X	
33.1	გამოყენებითი ფსიქოლოგია	X	X		X	X	X
33.2	სოციოლოგია	X	X	X	X	X	X
33.3	კულტურა და თანამედროვეობა	X			X		X
34.1	მოლაპარაკების ხელოვნება	X	X	X			X
34.2	ნატო - უსაფრთხოების რეგიონული ორგანიზაცია	X	X	X	X		X
34.3	ტერორიზმის გეოპოლიტიკა	X	X	X	X		X
35.1	ქართული ემიგრაცია ევროპაში	X	X	X			X
35.2	ევროკავშირის საშინაო პოლიტიკა	X	X	X			X
35.3	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში	X		X		X	
36.1	ევროპული კონფლიქტები	X	X	X	X	X	
36.2	თანამედროვე ევროპის მედია	X	X		X	X	X
36.3	თანამედროვე სამყაროს კულტურები და ორგანიზაციები	X	X	X	X		X
36.4	საქართველოს საგარეო პოლიტიკის ევროპული ორიენტირები	X	X	X	X		X
37	საქართველო და ევროინტეგრაცია	X	X	X	X	X	X
38	ევროპის ქვეყნების შედარებითი პოლიტიკა	X	X	X	X	X	X
39	გლობალიზაცია და რეგიონალიზმი	X	X	X		X	
40	ევროპის საარჩევნო სისტემები და ტექნოლოგიები	X	X		X	X	X
41	ევროკავშირის ეკონომიკური პოლიტიკა	X	X	X	X	X	X
42	ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა	X	X	X	X	X	
43	შავი ზღვის აუზის ქვეყნების უსაფრთხოება და ევროკავშირი	X	X	X	X	X	
44	პრაქტიკა	X	X	X	X	X	X
45.1	დედამიწის ისტორია	X	X	X			
45.2	ერგონომიკის საფუძვლები	X	X	X			
45.3	არქიტექტურული დისკურსი და დიზაინი	X	X		X	X	
45.4	საინჟინრო-ეკონომიკური ფსიქოლოგია	X	X	X		X	
45.5	შესავალი ეკონომიკაში	X	X	X		X	
45.6	შრომის ეკონომიკა	X	X	X	X	X	X
45.7	ეთიკური ეკონომიკა	X	X	X			
45.9	შესავალი ხელოვნების ისტორიაში	X		X	X	X	X
45.9	ტექსტილი და აქსესუარები არქიტექტურულ დიზაინში	X	X	X		X	
45.10	ქართული საბრძოლო ხელოვნება - ისტორია და	X	X	X	X		

	ეთნოკულტურული ტექნოლოგიები							
46	საბაკალავრო ნაშრომი	X	X	X	X	X	X	

პროგრამის სასწავლო გეგმა

№	საგნის კოდი	საგანი	ECTS კრედიტი/საათი	საათი								
				ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო სამუშაო/პროექტი	შუასემესტრული გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა
1.1	LEH19212G1-P	უცხოური ენა (ინგლისური) –B 1.1	6/150			60				1	1	88
1.2	LEH18812G1-P	უცხოური ენა (გერმანული) - B 1.1	6/150			60				1	1	88
1.3	LEH18612G1-P	უცხოური ენა (ფრანგული) – B1.1	6/150			60				1	1	88
1.4	LEH19012G1-P	უცხოური ენა (რუსული) – B1.1	6/150			60				1	1	88
2	ICT15008G1-LB	გამოყენებითი ინფორმატიკის საფუძვლები 1	4/100	15			15			1	1	68
3	LEH11912G1-LS	წერითი და ზეპირი კომუნიკაციები	5/125	15	30					2	2	76
4	HEL20312G1-LS	საქართველოს ისტორია და კულტურა	5/125	15	30					1	1	78
5	SOS22912G1-LS	პოლიტიკის მეცნიერების შესავალი	5/125	15	30					1	1	78
6	SOS23012G1-LS	შესავალი რეგიონმცოდნეობაში	5/125	15	30					2	2	76
7	SOS23112G1-LS	შესავალი ევროპისმცოდნეობაში	5/125	15	30					2	2	76
8.1	LEH19312G1-P	უცხოური ენა (ინგლისური) –B1.2	6/150			60				1	1	88
8.2	LEH18912G1-P	უცხოური ენა (გერმანული) - B1.2	6/150			60				1	1	88
8.3	LEH18712G1-P	უცხოური ენა (ფრანგული) – B1.2	6/150			60				1	1	88
8.4	LEH19112G1-P	უცხოური ენა (რუსული) – B1.2	6/150			60				1	1	88
9	ICT15108G1-LB	გამოყენებითი ინფორმატიკის საფუძვლები 2	4/100	15			15			1	1	68
10	SOS23212G1-LS	ევროპის ისტორია	5/125	15	30					2	2	76
11	SOS23312G1-LS	ევროპული პოლიტიკური აზროვნების ისტორია	5/125	15	30					1	1	78
12	SOS23412G1-LS	ევროკავშირის პოლიტიკური ინსტიტუტები და მმართველობის ფორმები	5/125	15	30					2	2	76
13	SOS23512G1-LS	ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა	5/125	15	30					1	2	77
14.1	LEH10412G1-P	უცხოური ენა (ინგლისური) –	5/125			45				1	1	78

		B2.1										
14.2	LEH11212G1-P	უცხოური ენა (გერმანული) – B2.1	5/125			45				1	1	78
14.3	LEH10812G1-P	უცხოური ენა (ფრანგული) – B2.1	5/125			45				1	1	78
14.4	LEH11612G1-P	უცხოური ენა (რუსული) - B2.1	5/125			45				1	1	78
15	SOS23612G1-LS	ევროპის უახლესი ისტორია	5/125	15	30					2	2	76
16	LAW15711G2-LSK	შესავალი საერთაშორისო საჯარო სამართალში	6/150	30	30					2	3	85
17	SOS23712G1-LS	ევროინტეგრაცია და ახალი მსოფლიო წესრიგი	4/100	15	15					1	2	67
18.1	LEH10512G1-P	უცხოური ენა (ინგლისური) –B 2.2	5/125			45				1	1	78
18.2	LEH11312G1-P	უცხოური ენა (გერმანული) - B 2.2	5/125			45				1	1	78
18.3	LEH10912G1-P	უცხოური ენა (ფრანგული) – B2.2	5/125			45				1	1	78
18.4	LEH11712G1-P	უცხოური ენა (რუსული) - B 2.2	5/125			45				1	1	78
19	SOS23812G1-LS	საქართველოს ევროპული იდენტობა	5/125	15	30					2	2	76
20	SOS23912G1-LS	გლობალიზაცია-ცივილიზაციის პარადიგმები	4/100	15	15					2	2	66
21	LAW15911G2-LSK	ევროკავშირის სამართლის საფუძვლები	6/150	30	30						3	87
22	SOS11112G1-LS	ეკონომიკის საფუძვლები	5/125	15	30					2	2	76
23	SOS24012G1-LS	ევროპული ცივილიზაცია	5/125	15	30					2	2	76
24.1	LEH12312G2-P	უცხოური ენა (ინგლისური) – B2 + 1	5/125			45				1	1	78
24.2	LEH12912G2-P	უცხოური ენა (გერმანული) - B2 + 1	5/125			45				1	1	78
24.3	LEH12512G2-P	უცხოური ენა (ფრანგული) -B2 + 1	5/125			45				1	1	78
24.4	LEH12712G2-P	უცხოური ენა (რუსული) - B2 + 1	5/125			45				1	1	78
25	SOS24112G1-LS	რელიგია და პოლიტიკური პროცესები ევროპაში	5/125	15	30					2	2	76
26	SOS24212G1-LS	თანამედროვე დიპლომატია	5/125	15	30					2	2	76
27	SOS24312G1-LS	ევროპის ინდივიდუალურობა: კულტურა და იდეოლოგია	5/125	15	30					2	2	76
28	SOS24412G1-LS	ევროპული პოლიტიკური იდეოლოგიები	5/125	15	30					1	1	78
29	LAW15811G2-LSK	ადამიანის უფლებები და მათი დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმები	6/150	30	30					2	3	85
30	SOS24512G1-LS	ევროპული დემოკრატია: ევოლუცია და მოდელები	5/125	15	30					2	2	76
31	SOS24612G1-LS	ევროპის სოციალური პოლიტიკის საფუძვლები	4/100	15	15					2	2	66
32.1	LEH12412G2-P	უცხოური ენა (ინგლისური) – B2+ 2	5/125			45				1	1	78
32.2	LEH12212G2-P	უცხოური ენა (გერმანული) - B2+ 2	5/125			45				1	1	78
32.3	LEH12612G2-P	უცხოური ენა (ფრანგული) - B2+ 2	5/125			45				1	1	78
32.4	LEH12812G2-P	უცხოური ენა (რუსული) - B2+ 2	5/125			45				1	1	78
33.1	SOS30112G1-LS	გამოყენებითი ფსიქოლოგია	5/125	15	30					1	1	78
33.2	SOS40212G1-LS	სოციოლოგია	5/125	15	30					1	1	78

33.3	SOS40513G1-LS	კულტურა და თანამედროვეობა	5/125	15	30					2	2	76
34.1	SOS22011G2-LS	მოლაპარაკების ხელოვნება	5/125	15	30					2	2	76
34.2	SOS24712G1-LS	ნატო - უსაფრთხოების რეგიონული ორგანიზაცია	5/125	15	30					1	2	77
34.3	SOS24812G1-LS	ტერორიზმის გეოპოლიტიკა	5/125	15	30					1	2	77
35.1	SOS24912G1-LS	ქართული ემიგრაცია ევროპაში	5/125	15	30					2	2	76
35.2	SOS25012G1-LS	ევროკავშირის საშინაო პოლიტიკა	5/125	15	30					2	2	76
35.3	SOS20411G2-LS	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში	5/125	15	30					2	2	76
36.1	SOS25112G1-LS	ევროპული კონფლიქტები	5/125	15	30					2	2	76
36.2	SOS25212G1-LS	თანამედროვე ევროპის მედია	5/125	15	30					2	2	76
36.3	SOS25312G1-LS	თანამედროვე სამყაროს კულტურები და ორგანიზაციები	5/125	15	30					2	2	76
36.4	SOS26012G1-LS	საქართველოს საგარეო პოლიტიკის ევროპული ორიენტირები	5/125	15	30					1	2	77
37	SOS25412G1-LS	საქართველო და ევროინტეგრაცია	5/125	15	30					2	2	76
38	SOS25512G1-LS	ევროპის ქვეყნების შედარებითი პოლიტიკა	5/125	15	30					1	1	78
39	SOS25612G1-LS	გლობალიზაცია და რეგიონალიზმი	5/125	15	30					2	2	76
40	SOS25712G1-LS	ევროპის საარჩევნო სისტემები და ტექნოლოგიები	5/125	15	30					2	2	76
41	SOS56012G1-LS	ევროკავშირის ეკონომიკური პოლიტიკა	5/125	15	30					2	2	76
42	SOS25812G1-LS	ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა	5/125	15	30					1	2	77
43	SOS25912G1-LS	შავი ზღვის აუზის ქვეყნების უსაფრთხოება და ევროკავშირი	6/150	30	30					1	2	87
44	SOS62712G1-K	პრაქტიკა	6/150					60			2	88
45.1	PHS30103G1-LS	დედამიწის ისტორია	3/75	15	15					1	1	43
45.2	AAC60706G1-LP	ერგონომიკის საფუძვლები	3/75	15		15				1	1	43
45.3	AAC60606G1-LS	არქიტექტურული დისკურსი და დიზაინი	3/75	15	15					1	1	43
45.4	SOS56512G1-LS	საინჟინრო-ეკონომიკური ფსიქოლოგია	3/75	15	15					2	2	41
45.5	SOS56212G1-LS	შესავალი ეკონომიკაში	3/75	15	15					2	2	41
45.6	SOS15412G1-LS	შრომის ეკონომიკა	3/75	15	15					2	2	41
45.7	SOS13812G1-LS	ეთიკური ეკონომიკა	3/75	15	15					2	2	41
45.8	HEL20906G1-LS	შესავალი ხელოვნების ისტორიაში	3/75	15	15					1	1	43
45.9	AAC70106G1-LK	ტექსტილი და აქსესუარები არქიტექტურულ დიზაინში	3/75	5					25	1	1	43
45.10	HEL20212G1-LS	ქართული საბრძოლო ხელოვნება - ისტორია და ეთნოკულტურული ტექნოლოგიები	3/75	15	15					1	1	43
46	SOS62612G1-K	საბაკალავრო ნაშრომი	6/150						60	2	2	86

პროგრამის ხელმძღვანელი ხათუნა ჩაფიჩაძე

საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ეკატერინე შაკიაშვილი

ფაკულტეტის დეკანი ივანე ჯაგოდნიშვილი

მიღებულია
ბიზნეს-ინჟინერინგის
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
4 ივლისი 2012 წელი

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

შეთანხმებულია
სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან დავით მახვილაძე

მოდიფიცირებულია
საინჟინრო ეკონომიკის,
მედიატექნოლოგიებისა და
სოციალურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
2 აგვისტო, 2022 წელი,
ოქმი #74

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე ივანე ჯაგოდნიშვილი